საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-18/3532
26/09/2024

3532-18-2-202409261827

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ქეთევან თურაზაშვილს,
მის: საქართველო, თბილისი, 0118,
შოთა რუსთაველის გამზირი №8,
საქართველოს პარლამენტის სასახლე,
ტელ.: (+995)0322281679,
ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი 2024 წლის 16 სექტემბრის №6008/3/-38/24 კორესპონდენციასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტში სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში - „ბანკი“) მიერ გაცემულ საპენსიო კატეგორიის სესხებთან/კრედიტებთან დაკავშირებით დაფიქსირდა 3,195 (სამიათას ასოთხმოცდათხუთმეტი), ხოლო, საპენსიო ე.წ. „ოვერდრაფტთან“ დაკავშირებით - 295 (ორასოთხმოცდათხუთმეტი) მომართვა. აღნიშნული მომართვების/განცხადებების შინაარსი განსხვავებულია და მოიცავს როგორც მითითებული საკრედიტო პროდუქტების ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის (მათ შორის, ახალი კორონავირუსით (COVID19) გამოწვეული პანდემიის პერიოდში ე.წ. „საშეღავათო პერიოდის“ საფუძველზე შეცვლილ ვადასა და პირობებს), საპროცენტო შენატანებთან, გადახდის გრაფიკთან მიმართებით შეკითხვებს/პრეტენზიებს, ასევე, სესხის/კრედიტის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ და სხვა სახის საკითხებს. ამასთან, ზემოაღნიშნული მომართვების/განცხადებების უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ერთზე მეტ საკითხს ეხება. უფრო კონკრეტულად, ბანკსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების, საპროცენტო შენატანების, საპროცენტო განაკვეთის ოდენობისა ან/და სესხის/კრედიტის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით 2020 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდში სულ დაფიქსირდა 2,776 (ორიათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) მომართვა/განცხადება, ხოლო, სხვა საკითხებს, მათ შორის, ადმინისტრაცია/მომსახურებას, ზოგადი ხასიათის ინფორმაციის გამოთხოვას, ბანკის მხრიდან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და ა.შ., შეეხებოდა 714 (შვიდასთოთხმეტი) მომართვა, რომლებიც წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

თარიღი	პრეტენზიის შინაარსი			სულ
	ხელშეკრულების პირობები / საპროცენტო შენატანები / საპროცენტო განაკვეთის ოდენობა / სესხის/კრედიტის რესტრუქტურიზაცია		სხვა	
	საპენსიო სესხი	საპენსიო ე.წ. „ოვერდრაფტი“		
09/2020 – 12/2020	62	9	19	90
01/2021 – 12/2021	133	14	231	378
01/2022 – 12/2022	251	19	103	373
01/2023 – 12/2023	1,507	122	241	1,870
01/2024 – 08/2024	606	53	120	779

ხოლო, რაც შეეხება მომხმარებელთა ინდივიდუალური მომართვების/განცხადებების საფუძველზე ბანკთან წარმოებული კორესპონდენციასა და საკითხების მოკვლევის შედეგებს, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მის რეგულირებასა და ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ გამოყენებული საზედამხედველო ზომების და/ან სანქციების (ფულადი ჯარიმა) შესახებ ინფორმაციას, მითითებული „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ასევე, გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების (სანქცია) განსაზღვრისა და დაკისრების საკითხები განსაზღვრულია „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 22 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/88228?publication=23.

პატივისცემით,

ნათელა თურნავა

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს ეროვნული ბანკი